

ზოგადი მიმოხილვა

მშპ და დასაქმება სოფლის მეურნეობაში


საქსტატის 2018 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით საქართველოს ეკონომიკა გაიზარდა 4.7%-ით. ეს იგივე ზრდის ტემპია, რაც 2017 წელს დაფიქსირდა. 2017 წელი საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის საკმაოდ ბევრი გამოწვევით ხასიათდებოდა, რის შედეგადაც სექტორში გამოშვება 3.5%-ით შემცირდა. 2017 წლისგან განსხვავებით, სოფლის მეურნეობას 2018 წელს დადებითი ზრდის ტემპი ქონდა, თუმცა ეს ზრდა საკმაოდ მოკრძალებული იყო 0.7% შეადგინა. როგორც მოსალოდნელი იყო, სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიან მშპ-ში განაგრძობს შემცირებას და 2018 წელს 7.7% შეადგინა, მაშინ როცა 2017 წელს ეს მაჩვენებელი 8.0% იყო.

ქვეყნის მთლიან მშპ-ში სოფლის მეურნეობის დაბალი წილი გასაკვირი არაა, იქიდან გამომდინარე რომ მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი 6.4% იყო 2017 წელს (CIA-ს შეფასება). ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია განვითარებულ ქვეყნებში და 1%-დან 3%-მდე მერყეობს. ამდენად, საქართველოს ეკონომიკისათვის ამ მაჩვენებლის შემცირება არ იქნებოდა საზიანო, რომ არა ერთი ფაქტი - საქართველოში სამუშაო ძალის დაახლოებით 40% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. მსოფლიო ბანკის შეფასებით 2018 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმების მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი 26% იყო, თუმცა განვითარებულ ქვეყნებში იგი არ სცდება 5%-ს (OECD-ის ქვეყნებში).

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა მაღალი მაჩვენებლით (40%-ის ფარგლებში), საქართველო ისეთი ქვეყნების რიცხვშია, როგორცაა გაბონი, განა, ჰაიტი, ინდოეთი, კენია, მაროკო, ნიგერია, პაკისტანი, ვიეტნამი და სხვ. თუ მსოფლიო ბანკის 2018 წლის მონაცემებში ჩვენს მეზობელ ქვეყნებს შევხედავთ, ყველა მათგანს უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვს ვიდრე საქართველოს: აზერბაიჯანი (37%), სომხეთი (33%), თურქეთი (19%) და რუსეთი (7%).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ფერმერთა უმრავლესობა მიეკუთვნება ე.წ. „შემთხვევით ფერმერებს“ და არა „მოწოდებით ფერმერებს“, სოფლის მეურნეობაში დასაქმების მაღალ მაჩვენებელს იწვევს ისიც, რომ ეკონომიკის სხვა სექტორებში სამუშაო ადგილების სიმცირეა. ამასთანავე, „შემთხვევით ფერმერების“ უმეტესობა ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს ცოდნისა და უნარების მხრივ. ამდენად, სოფლის მეურნეობაში არსებული მაღალი დასაქმების მაჩვენებელი და მშპ-ში ამ სექტორის შემცირებული წილი მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა პროფესიული განათლების გაძლიერება და სტრუქტურული ცვლილებები სექტორში.

სოფლის მეურნეობაში დასაქმება და სოფლის მეურნეობის წილი მთლიან მშპ-ში



წყარო: საქსტატი (2019). წინასწარი მონაცემები. მსოფლიო ბანკის შეფასება, 2019


ფასები

ადგილობრივი ფასები


წინა თვესთან შედარებით, ფასების დონე საქართველოში სტაბილურად შენარჩუნდა; 2019 წლის თებერვალში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) უმნიშვნელოდ 0.3%-ით გაიზარდა წინა თვესთან შედარებით. თვიური ცვლილება კიდევ უფრო უმნიშვნელო იყო სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფის კატეგორიისთვის (0.1%).

2018 წლის თებერვალთან შედარებით სფი 2.3%-ით გაიზარდა. წინა წელთან შედარებით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები 2.9%-ით გაიზარდა, რამაც სფი 0.9 პროცენტული პუნქტით გაზარდა.

ფასების პროცენტული ცვლილება თებერვლის თვეში იანვრის თვესთან შედარებით



ფასების პროცენტული ცვლილება 2019 წლის თებერვალში თვეში 2018 წლის თებერვლის თვესთან შედარებით



2019 წლის თებერვალში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა სურსათის შემდეგ ჯგუფებში შემავალმა პროდუქტებმა:

თევზი (12.5% ↑)



ხორცი და ხორცის პროდუქტები (4.3% ↑)



პური და პურპროდუქტები (10.2% ↑)



ხილი და ყურძენი (-23.6% ↓)



ბოსტნეული და ბალახეული (7.6% ↑)



შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (-3.4% ↓)




უფრო ვრცლად ხორბლის ფქვილის ფასებზე

ბოლო თვეების განმავლობაში პურისა და პურპროდუქტების ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება შეინიშნა. დაწყებული 2018 წლის ნოემბრიდან ამ კატეგორიაში შემავალი პროდუქტების ფასები საშუალოდ წინა წელთან შედარებით მაღალი იყო. 2019 წლის თებერვალში პურისა და პურპროდუქტების ფასები 10.2%-ით გაიზარდა 2018 წლის თებერვალთან შედარებით. იმავე პერიოდში ხორბლის პურის ფასი 15%-ით გაიზარდა, რაც ხორბლის ფქვილის ფასების ზრდით იყო განპირობებული (წლიური 8%-ანი ზრდა). ვაჭრობის მონაცემების მიხედვით, 2019 წლის თებერვალში საქართველოში ხორბლის ფქვილის იმპორტმა 1650.70 ტონა შეადგინა, რაც 4%-ით აღემატებოდა წინა წლის მაჩვენებელს (1588.31 ტონა).

ხორბლის წარმოების პროგნოზი 2019 წლისთვის არც თუ ისე დამაიმედებლად გამოიყურება. აშშ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (USDA) პროგნოზით მსოფლიოში ხორბლის წარმოება 2019 წელს 734.75 მლნ. ტონა იქნება, რაც 4%-ით ჩამოუვარდება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს (763.18 მლნ. ტონა). მაშინ, როცა ხორბლის მთლიანი მოხმარების პროგნოზი 747.23 მლნ. ტონაა - უფრო მაღალი, ვიდრე წარმოებული რაოდენობის პროგნოზი.

ეს ნიშნავს იმას, რომ 2019 წლის ბოლოს მარაგები უფრო დაბალი იქნება, ვიდრე წინა წელს. მოსალოდნელია რუსეთში ხორბლის წარმოების 16%-ით შემცირება, ხოლო ქვეყნის ექსპორტი შესაბამისად 11%-ით შემცირდება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ხორბლის ფქვილის წმინდა იმპორტიორია და რუსეთის წილი საქართველოს ხორბლის ფქვილის იმპორტში დაახლოებით 90%-ს შეადგენს, 2019 წელს ქართველი მომხმარებლები პურისა და პურპროდუქტების ფასების კიდევ უფრო მეტ ზრდას უნდა ელოდნენ.




წყარო: საქსტატი, 2019

საერთაშორისო ფასები

2019 წლის თებერვალში საერთაშორისო ფასები გაიზარდა. სურსათის ფასების ინდექსი, რომელსაც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ითვლის, 2019 წლის იანვართან შედარებით 1.7%-ით გაიზარდა. წინა წელთან შედარებით კი საერთაშორისო ფასებმა დადებითი ტრენდი შეინარჩუნა: FAO-ს სურსათის ფასების ინდექსი 2.3%-ით შემცირდა 2018 წლის თებერვალთან შედარებით. ფასები შემცირდა სურსათის შემდეგი კატეგორიებისთვის: მცენარეული ზეთი (-15.5%), შაქარი (-4.3%) და ხორცი (4%).



2019 წლის თებერვალში FAO-ს მარცვლეულის ფასების ინდექსი 4.7%-ით გაიზარდა, ხოლო რძის პროდუქტების ფასები უმნიშვნელოდ 0.7%-ით გაიზარდა.



წყარო: FAO, 2019

ვაჭრობის სტატისტიკა

2019 წლის თებერვალში საქართველოდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტმა (მათ შორის საკვები პროდუქტები) დაახლოებით 57 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც აღნიშნულ თვეში საქართველოს ექსპორტის მთლიანი ღირებულების თითქმის 27% იყო და, ფაქტობრივად, უდრიდა 2018 წლის თებერვლის ანალოგიურ მაჩვენებელს. რაც შეეხება ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტს, მისმა ღირებულებამ 2019 წლის თებერვალში 79 მლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც ამავე თვეში საქართველოს მთლიანი იმპორტის თითქმის 15%-ს შეადგენდა. გასული წლის იანვართან შედარებით, მიმდინარე წელს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი 6%-ითაა შემცირებული.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


ცხვარი და ცხვრის ხორცი

2019 წელი საქართველოში ცხვართან დაკავშირებული საქონლით აქტიური ვაჭრობით დაიწყო, მაგრამ იმპორტისა და ექსპორტის სტრუქტურა ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. საქსტატის მიხედვით, საქართველო საერთაშორისო ბაზარზე ყიდულობდა ცოცხალ ცხვარს და სანაცვლოდ ყიდდა ცხვრის ხორცს.

იმის მიუხედავად, რომ წლის დასაწყისი, ზოგადად, ცოცხალი ცხვრის (HS 010420) აქტიური იმპორტით არ გამოირჩევა (მაგ., 2014 და 2017 წლის იანვარ-თებერვალში იმპორტი ნულის ტოლი იყო), ბოლო 2 თვეში საქართველომ უცხოეთიდან ცოცხალი ცხვრის შემენაზე 1.5 მლნ. აშშ დოლარი, ორჯერ უფრო მეტი დახარჯა, ვიდრე 2018 წლის იანვარ-თებერვალში. ცოცხალი წვრილფეხა პირუტყვის იმპორტი განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო 3 წელიწადში და 2018 წელს დაფიქსირდა ცოცხალი ცხვრის იმპორტის ახალი რეკორდი, 7.5 მლნ. აშშ დოლარი, რაც 3.4 მლნ. აშშ დოლარით აღემატება 2014 წლის წინა რეკორდულ სიდიდეს.

2019 წლის დასაწყისში გამოირჩა საქართველოდან ცხვრის ხორცის ექსპორტის მზრიაც, რომლის ზრდის ტემპმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა ცოცხალი ცხვრის იმპორტის ზრდის ტემპს, როგორც აბსოლუტურ, ისე შეფარდებით მაჩვენებლებში. აღსანიშნავია, რომ საქართველოდან ბატკნის ახალი ან გაცივებული ხორცის (HS 020410) ექსპორტი მხოლოდ და მხოლოდ 2017 წელს დაიწყო, მაგრამ მისმა ღირებულებამ 12 თვეში 14 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, ეს მაჩვენებელი კი გაორმაგდა 2018 წელს (31 მლნ. აშშ დოლარი). ჯერჯერობით, 2019 წლის მონაცემებიც ოპტიმისტურია — საქსტატის მიხედვით, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ცხვრის ხორცის ექსპორტმა 2.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც დაახლოებით 47%-ით (0.7 მლნ. აშშ დოლარით) აღემატება 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

აღსანიშნავია, რომ ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლების ზრდა არ მომხდარა რექსპორტის ან რეიმპორტის ხარჯზე. მაგალითად, 2019 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოდან ექსპორტზე სულ რაღაც 0.1 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების ცოცხალი ცხვარი გავიდა, ხოლო იმავე პერიოდში ბატუნის ახალი და გაცივებული ხორცის იმპორტი საერთოდ არ დაფიქსირებულა.



წყარო: საქსტატი, 2019

პოლიტიკის მიმოხილვა

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ (APMA) ახალი პროგრამა დაიწყო, რომელიც გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსებას. სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა ერთ ბენეფიციარზე შეადგენს შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების არაუმეტეს 50%-ს, მაგრამ არაუმეტეს 150,000 ლარსა. სააგენტოს თანადაფინანსება შესაძლებელია იყოს 50%-ზე ნაკლები იმ შემთხვევაში თუ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი პროექტის ღირებულება აღემატება 300,000 ლარს.

შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა უნდა იყოს ახალი (ექსპლუატაციაში არ მყოფი), კერძოდ, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ 2 პირობას: 1) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა წარმოებული უნდა იყოს შესყიდვამდე არაუმეტეს 2 კალენდარული წლით ადრე; 2) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის შესყიდვის მომენტში უნდა მოქმედებდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკაზე საგარანტიო პირობები;

პროექტის ბენეფიციარი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ან ინდივიდუალური მეწარმე ან საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული კომერციული იურიდიული პირი (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი), რომელშიც სახელმწიფო არ ფლობს წილს/პაის/აქციას;

მეტი ინფორმაციისთვის: <http://apma.ge/projects/read/mechanization/>

ქართული ხორბლის შესახებ განცხადება გაეგზავნა UNESCO-ს რომ იგი შევიდეს არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაში

საქართველომ განაცხადი შეიტანა UNESCO-ში რომ ქართულ ხორბალი შეტანილ იქნას არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაში. განცხადებას ხელი მოაწერეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრებმა.

ქართული ხორბლის 14 სახეობა და 188 სახესხვაობა არსებობს. არქეოლოგიური კვლევებით დგინდება რომ ქართული ხორბალს 8000 წლოვანი ისტორია აქვს.

მეტი ინფორმაციისთვის: <https://1tv.ge/news/sakhelmwifo-qartuli-khorblis-kulturas-iunesko-s-aramaterialuri-memkvidreobis-nuskhashi-waradgens/>

აისეტის კვლევითი ინსტიტუტი –
აგრარული პოლიტიკის კვლევითი ცენტრი
<http://iset-pi.ge/index.php/en/research/aprc>

ავტორები: სალომე გელაშვილი s.gelashvili@iset.ge
ირაკლი (რატი) კოჭლამაზაშვილი i.kochlamazashvili@iset.ge
დავითი ჟორჯოლიანი d.zhorzholiani@iset.ge
სალომე დეისაძე s.deisadze@iset.ge